ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 95
შაბათი, 8 მაისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 95
შაბათი, 8 მაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი ,,ივერია'' პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ეღირება **7** მან. **25** კაპ.

---

„ქარ. შ. წერ. კით. გამ. საზ." გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 9 მაისს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება წლის წირვა განსვენებულის

## ალექსანდრე როინაშვილის

სულის მოსახსენებლად. (3—უ.—2)

---

# სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ.

,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ''.

დანიშნულია მაისის **16** და **17**-ს კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში.

შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, **№ 21**.

---

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ღ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასსიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. ზრიტსევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ფ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გუკო.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** 6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

---

**სარევიზიო კომისია ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა** მოიწვევს წევრთ ამა ამხანაგობისას საგანგებო კრებაზედ, 9 მაისს, 1899 წელსა, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში, განსახილველად და დასამტკიცებლად ამხანაგობის 1898 წ. წლიურის ანგარიშისა და სხვა საგნებისა, რომლების განხილვაც ჩვეულებრივმა კრებამ, შემდგარმა 21 აპრილს, ვერ მოასწრო, კრების თავმჯდომარის წყალობით. (5—ნ.—4)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

ხარკოვის დრამატიულ არტისტების საზოგადოების მიერ, ი. პ. სოლოვიოვის გამგეობით,

ორშაბათს, 10 მაისს,

**ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების** სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება:

## „ძველი დრო"

დრამა 5 მოქმედ., თხზ. ნ. ვ. შპაჟინსკისა.

და

## „A DISCRETION"

კომ. 1 მოქმ., ს. ო. რაზსოხინისა.

ბილეთების ყიდვა ამ თავითვე შეიძლება საზოგადოების თავმჯდომარე კნ. ა. ა. ამილახვართანა და საზოგადოების მდივან ი. ბ. ხალათოვთან. (2—59—1)

---

**მთავრობის განკარგულებანი.**

უმაღლესად ებოძათ 18 მარტს სხ ჩუქრები საუფლისწულო უწყებაში მოსამსახურეთ: ოქროს ბეჭედი—თელავის მაზრის საერობო დარაჯის უფროსს, მილიციის პრაპორშჩიკს თავ. მისეილ ლეონიძეს, ვერცხლის მედლები: წინანდლის სარდაფის უფროს მუშას გლეხს სიმონ ჰიორელს, თელავის ვენახის უფროს მუშას გლეხს მიხა პარიაშვილს, დიდ-ზვარის უფროს მუშას გლეხს სანდრო თათრიშვილს, მუკუზანის ვენახის უფროს მუშას გლეხს სოლომონ ნაცვლიშვილს, წინანდლის მამულში მეოფ მეტლეს, გლეხს გიორგი კურწაძეს, იმავე მამულის მეურმეს გლეხს ივანე იბრაიმაშვილს, კახეთის მამულის კანტორის დარაჯს გლეხს ივანე კალატოზიშვილს.

დანიშნულ იქმნა ელენოვის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ფხაკაძე—იგდირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად.

---

**შემოწირულობა**

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს: კნ. მაკინე ქაიხოსროს ასულმა ამირეჯიბისამ—ერთი ნაკერი ბალიში და ოთხი ოქრო-მკედით მოქსოვილი ქისა.

მარიამ დიმიტრის ასულმა სოხამისამ—მშვენიერი ხელთ-ნაკერი აბგა.

---

# ახალი ამბავი

*** დღეს, 8 მაისს, ტფილისის „კრუჟოკის" სადგომში, საღამოს 7½ საათზედ გენერალი პოტტო წაიკითხავს ლექციას სუვოროვის შესახებ. ამ ლექციის შემოსავალი გადადებუ-

---

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

როგორ იმარჯვებენ თანდათან ქალები.—იაპონელის ქალის განცხადება.—ინდოელი ფაკირები.—კაცის-მჭამელნი.

რაც მეტი დრო და ხანი გადის, დედაკაცები მით უფრო და უფრო იმარჯვებენ მამაკაცებთან ბრძოლაში. რამდენს არა სცდილობენ დღესაცკი ზოგიერთ ქვეყანაში წარჩინებულნი და ძალის მქონენი გზა შეუკრან დედაკაცებს და, ოჯახის გარდა, სხვა სამოქმედო ასპარეზზედ გამოსვლის ნება არ მისცენ, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიან და ნელნელა იმარჯვებენ. სულ უკანასკნელ დრომდე ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში, როგორც, მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში, ქალებისათვის უმაღლესის განათლების კარები თითქმის დახშული იყო. ეხლა-კი დედაკაცები თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებენ იქ უმაღლესს სასწავლებლებში შესვლას. მარტო ვენის უნივერსიტეტში საფილოსოფოსო ფაკულტეტზედ შარშან 40 ქალი იქმნა მიღებული. იქიდგან 14 ნამდვილ სტუდენტად ითვლება, ხოლო 26—ყურის-მგდებლად.

ამას წინად ლონდონში ერთმა ქალმა, გვარად ფილიპსმა, საყურადღებო წიგნი გამოსცა. წიგნში ჩამოთვლილია ყველა ის ხელობა და საქმე, რაც დღეს დედაკაცისთვის ხელმისაწვდენია და „აღკრძალული" აღარ არის. როგორც ამ წიგნიდგანა სჩანს, თითქმის აღარაა ისეთი ხელობა და საქმე თუ სამსახური, რომლისთვისაც დედაკაცს ხელი არ მოეკიდნოს. სხვა რომ მხედველობაში არ მივიღოთ, მარტო ლონდონში 19 ხუროთ-მოძღვარი ქალია. ბევრი ქალი ასრულებს აგრეთვე მაშინისტის თანამდებობასაც. ისეთი ქალი ხომ მრავალია, რომელნიც კონდუქტორებად, მეეტლებად, სადგურის უფროსებად, ფოსტალიონებად არიან.

ამერიკაში 1870 წელს სულ 527 მკურნალი-ქალი იყო, დღეს-კი, როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, მათი რიცხვი 4,500 აღემატება. ერთი ქალი—ანიტა ნიუკომბ მაკ-ჯი იქ სამხედრო ექიმის თანამდებობასაცკი ასრულებს. მაკ-ჯი პროფესორის ქალია და პროფესორისავე ცოლი, სწავლა 1892 წელს დაამთავრა ვაშინგტონის უნივერსიტეტში.

ამერიკაშივე, კოლორადოში, რამდენმამე დედაკაცმა შარშან მეაქციეთა საზოგადოება დააარსა. საზოგადოებას აზრად რკინის გზის გაყვანა და იმის წარმოება აქვს. გამგეობის პრეზიდენტად ქ-ნი კლაპნ რიკკერტია. სხვა თანამდებობასაც დედაკაცები ასრულებენ. საზოგადოებას ძირას თანხად 10,000,000 მანეთი აქვს.

1897 წელს ავსტრიის მთავრობამ ქ-ნი დოლფინა პოპპე ვენის სასამართლოს ოფიციალურ ექსპერტად დანიშნა. პოპპე სხვა-და-სხვა ნაწერის ხელს იკვლევს. ქ-ნი პოპპე იმდენად მცოდნე და გამოცდილი გრაფოლოგია, რომ შარშან დრეიფუსის საქმის გამო „ბორდეროს" გასინჯვის დროს შეეკითხნენ, რა აზრისა ხართ ბორდეროს ნაწერის შესახებაო.

ჟურნალ-გაზეთებში ხომ მრავალი ქალი იღებდა და იღებს მონაწილეობას. ბევრგან მანდილოსნებმა საკუთარი გაზეთი და ჟურნალიც-კი დააარსეს, რომლისს რედაქტორ-გამომცემელ-თანამშრომლებად მხოლოდ დედაკაცები არიან. პირველი ადგილი ასეთ ჟურნალ-გაზეთებს შორის დღეს ქ-ნ დიურანის გაზეთს „La Fronde"-ს უჭირავს, რომელიც პარიჟში იბეჭდება. ისეთ სახელმწიფოში, როგორიც ბრაზილიაა, ამ ჟამად ქალები ორ ჟურნალსა ჰბეჭდავენ, რომელნიც მხოლოდ დედათა კითხვას ემსახურებიან. როგორც ვუწყით, წელს რუსეთშიაც დააარსეს ქალებმა საკუთარი ჟურნალი—„Женское Дѣло".

***

ამისდა მიუხედავად დღეს მაინც ყველგან და ყველა ქალის უმთავრესს საზრუნავსა და საფიქრებელს გათხოვება შეადგენს. რაც უნდა ქონებრივად უზრუნველ ყოფილი იყოს ქალი, რაც უნდა კარგ საქმეს ადგეს, მაინც საქმროს ყოველთვის გაფაციცებით დაეძებს. წინანდელ დროსთან შედარებით, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წინად (და ჩვენში ეხლაც) გულითა და სულით რომ ჰნდომებოდა ქალს გათხოვება, მაინც იმას გეტყოდათ, ქმარი არ მინდა, მოვკვდები და არ გავთხოვდებიო. ეხლა-კი ევროპიელი და ამერიკელი მანდილოსნები არამც თუ არა ჰმალავენ გათხოვების სურვილს, არამედ გაზეთებშიაც-კი აცხადებენ, ქმარს დავეძებთო. ამ შემთხვევაში ევროპიელ და ამერიკელ მანდილოსნებს იაპონიაშიაც-კი აღმოუჩნდათ მიმბაძველნი. აი, ნიმუში იპანელის გასათხოვარის ქალის განცხადებისა, დაბეჭდილი იაპონურ გაზეთ „კანაზავა-შიმბუნში":

„მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერელი, ლამაზი ქალი ვარ. თმა ღრუბლის მსგავსი მაქვს; ჩემი სახე გადაშლილს ვარდს მოგაგონებთ, ტანი—ალვის ხეს. ფული საკმაოდ მომეპოვება, იმდენად საკმაოდ, რომ შეგვიძლიან მე და ჩემმა საყვარელმა ქმარმა უზრუნველად გავიაროთ ცხოვრების გზა და დავტკბეთ დღისით ყვავილების, ხოლო ღამე—ბადრ მთვარის ცქერით. თუ აღმოჩნდება ჰკვიანი, განათლებული, ლამაზი და საინტერესო ყმაწვილი კაცი, მზადა ვარ სამუდამოდ დავუკავშირდე და სამარის კარამდე აღარ მოვშორდე."

ეს კიდევ კარგია, რომ იაპონელი ქალი ჰპირდება საქმროს, „სამარის კარამდე არ მოგშორდებიო". ბევრგან ეს წყალობაც აღარაა ქალებისაგან: თუმცა გათხოვებას გულით არიან მოწადინებულნი, მაგრამ ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ქმრის სიკვდილის შემდეგ უფრო კარგ გუნებაზედ დგებიან, ვიდრე იმის სიცოცხლეში იყვნენ...

***

იაპონია თუ იმითი აკვირვებს მთელს ქვეყანას, რომ გასაოცარის სისწრაფით შეითვისა და შეიგნო ევროპის განათლება, იაპონიის მეზობლებს ჩინეთსა და განსაკუთრებით ინდოეთს სულ სხვა რითმე მოჰყავთ განცვიფრებაში ყველა, ვინც-კი ამ ქვეყნების ცხოვრებას გაიცნობს. მართლაცა და ვის არ გააკვირვებს და გააოცებს, მაგალითად, ის არა-ჩვეულებრივი სასწაულნი და საქმენი, რომელსაც ინდოელი ფაკირები სჩადიან. მკითხველს არ შეიძლება არა გაეგონოს-რა ამ ფაკირების შესახებ.

ევროპიელ მეცნიერთ დღემდის ვერ გაუგიათ, რა მანქანების, რა ძალის მეოხებით ახერხებენ ფაკირები ამ სასწაულებს. თვით ფაკირები არავის არ უმჟღავნებენ თავიანთ საიდუმლოებას. ბევრს არა სჯეროდა და

ლი იქმნება სუვოროვის ძეგლის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ.

*** ფოსტათა და ტელეგრაფთა უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ნ. ი. პეტროვი, გაზ. „კავ.“-ს სიტყვით, ამ ახლო მომავალს ამიერ-კავკასიაში უნდა ჩამოვიდეს.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ კავკასიის სამთო გამგეობა გეოლოგს სვიმონოვიჩს ბორჩალოს მაზრაში ჰგზავნისო სამეცნიერო აზრით.

*** უკვე შეუდგნენ იმ ექსპონატების შეკრებას, რომელიც კავკასიიდგან პარიჟში 1900 წლის გამოფენაზედ უნდა გაიგზავნოს. ნივთებს ამ წლის სექტემბერში გაჰგზავნიან. ამ საქმისათვის, როგორც გაზეთები იუწყებიან, გადადებული იქმნება 5,000 მანეთი.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, თავ. ორბელიანთა ბალახანის ნავთიანი ადგილები იჯარით აუღია სააქციონერო საზოგადოებას „Кавказъ“-ს შემდეგის პირობით: მყიდველთ გადაუციათ 450 ათასი მანეთი ტფილისელ ვაჭრის ერვიესათვის, რომელთანაც დაგირავებული ყოფილა ეს ადგილები, ამას გარდა თავ. ორბელიანებს უნდა გადასცენ ხელ-შეკრულობის ვადის გათავებამდე შემოსავლის მესამედი. შუამავალთ, რომელთა შორის ერთი ტფილისელი ნაფიცი ვექილია, ამ საქმის მოგვარებისათვის საჩუქრად 200 ათასი მანეთი მიუღიათ.

*** „ახ. მიმ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: 4 მაისს კრება ჰქონდა რუსეთის ქალთა იმ კომიტეტს, რომელსაც აზრადა აქვს კავშირი იქონიოს საერთა-შორისო დედათა სამშვიდობო ლიგასთან. წაკითხულ იქმნა ადრესები და დეპეშები, რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან მიღებული, და, სხვათა შორის, ქუთაისიდგან და ბათუმიდგანაც.

*** მტკვარი დღითი-დღე მატულობს. რიყეზედ მცხოვრებნი დიდს შიშში არიან. წყალმა მადათოვის კუნძულსაც ჩამოაცალა ნაპირები.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გარდაეცა საქმე რაჭის მაზრის გლეხის ე. გუგუშვილისა (14 წლისაა), რომელსაც სიმონ გუგუშვილის მოკვლა ჰბრალდება. ბრალდებული საპყრობილეშია დაპატიმრებული.

*** 3 მაისს, ვანქის ქუჩაზედ, მ. ფრიდის მაღაზიიდგან, რომელიც მოთავსებულია ილია კეგეგაშვილის სახლში, საქონლის გადატანის დროს შეცდომით სხვა ნივთებს გაჰყოლია კეგეგაშვილის პიჯაკიც, რომლის ჯიბეშიაც სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასსის წიგნაკი ყოფილა 260 მანეთისა. ნივთები გადაჰქონდათ ფრიდის ორ ნოქარსა და ვიღაც ნასიძეს. მეორე დღეს პიჯაკი გაუგზავნიათ პატრონისათვის, მაგრამ ჯიბეში წიგნაკი აღარ აღმოჩენილა. მეორე დღეს ორი ვიღაც კაცი მისულა ბანკში და 240 მანეთი მიუღია ამ წიგნაკით. პოლიციამ ექვსი კაცი დააპატიმრა.

## საქართველოს ეგზარხოსის მობრძანება ძველ-სენაკში.

პირველ მაისს ჩვენი დაბა დილიდგანვე სადღესასწაულოდ მოირთო. ამისი მიზეზი იყო საქართველოს ეგზარხოსის მობრძანება. დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ყველა მოუთმენლად ელოდდა მათ ყოვლად-უსამღვდელოესობის მობრძანებას. ჯერ შუადღე არ იყო, რომ დიდმა ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. როგორათაც ეკკლესიაში, აგრეთვე ბულვარში. მათი მეუფება ძ. სენაკში უნდა მობრძანებულიყო შუადღისას და ამიტომ იმ დროსათვის ეგზარხოსის დასახვედრად გამოვიდნენ აქაური სკოლების მოსწავლენი თავიანთის მასწავლებლებით. რადგანაც ქარი ჰქროდა და ქუჩაში ძალიან მტვერი იყო, ამიტომ მოსწავლე ყმაწვილები დააყენეს ბულვარში—ცალ მხრივ სათავად-აზნაურო სკოლისა, ხოლო მეორე მხრივ სოფლის სკოლისა. სააზნაურო სკოლის შეგირდების მხარეზედ იდგა ადგილობრივი თავად-აზნაურობა და იმათ პირდაპირ დაბის წარმომადგენლები, ხოლო სამღვდელოება და მანდილოსნები ეკკლესიაში ელოდებოდნენ ძვირფასს სტუმარს. ორი საათი იქნებოდა თითქმის, როდესაც კაცი მოვარდა ცხენით და შეგვატყობინა, რომ მისი მეუფება მობრძანდებაო, მართლაც, არ გასულა რამდენიმე წამი და მობრძანდა მათი მეუფება, რომელსაც წინ ეტლით მოუძღოდნენ მაზრის უფროსი ბ-ნი ქავთარაძე და ეპარქიის სკოლების ზედამხედველი თ. ჟორდანია. მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესის გვერდით ეტლში ბრძანდებოდა ეპისკოპოსი ალექსანდრე. იმათ თან მოჰყვნენ სენაკის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი დ. გაალადმშვილი, ბლაღ. კალანდარაშვილი და სხ. რადგანაც მათი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა ახალსენაკში დილის რვა საათზედ მობრძანებულიყო ფოთიდგან, დაეთვალიერებინა სასულიერო სასწავლებელი, სამინისტრო სკოლა და სამრევლო სასწავლებელი, ამიტომ ძალიან დაღალული ჰბრძანდებოდა და ეკკლესიაში ვეღარ შებრძანდა. პირდაპირ მობრძანდა ბულვარში. აქ თავად-აზნაურობამ პურმარილი მიართვა და მწყემს-მთავრის ლოცვა-კურთხევა მიიღო. პურ-მარილი მიიღო აგრეთვე დაბის წარმომადგენელთაგან, რომელთაგანმაც ერთმა გრძნობიერი სიტყვა მოახსენა ქართულად მათს მეუფებას. შემდეგ ამისა მიიღო პურ-მარილი აგრეთვე სოფლის სკოლის მოწაფეთაგან.

ბოლოს მათი მეუფება მიბრძანდა სააზნაურო სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან. აქ სკოლის ინსპექტორმა სიტყვა მოახსენა ეგზარხოსს და ბოლოს სთხოვა დაელოცა ის ყმაწვილები, რომლების წინაპარნი თავ-გამოდებით იბრძოდნენ მართლმადიდებლობის დასაცველად. ამასთანავე ერთმა მოსწავლე ქალიშვილმა მიართვა მათს მეუფებას საუცხოვო თაიგული, ხოლო მოსწავლეთა გუნდი ჰკალობდა ქრისტე აღდგას და „ისპოლას“ მ. გ. ბოკერიას ლოტბარობით. მათმა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ დალოცა, აკურთხა იქ მყოფი საზოგადოება და მარტვილისაკენ გაემგზავრა.

დამსწრე

## წერილი გორიდგან.

ამ ჟამად დავდივარ და ვუვლი გორის მაზრას თითქმის გარშემო და ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს. სადაც-კი მიხვალ, ყველგან გესმის და ჰხედავ საზოგადო საქმეებზედ მხურვალე ლაპარაკს და თვით საქმის შედგომას. გორის მაზრა დღეს აგონებს კაცს ისევ იმ გორის მაზრას, რომელსაც ვიცნობდით ამ თოთხმეტ-თხუთმეტის წლის წინად, როდესაც იგი პირველი აღძრავდა ხოლმე საზოგადო საქმეებზედ ლაპარაკს და იწვევდა თანაგრძნობას, არამც თუ რუსეთის საუკეთესო ჟურნალ-გაზეთებისა, თვით ევროპის ჟურნალ-გაზეთობისასაც. სხვა რიგმა კილომ, სხვა რიგმა შეხედულობამ მაზრის უმაღლესის წოდების წარმომადგენლებისამ თითქო გამოაფხიზლა საზოგადოება, ჩააგდო საზოგადო მიმდინარეობა თავის სალს ბუნებრივს კალაპოტში. არ შეგვიძლიანთ წარმოიდგინოთ რა ერთპირად და ერთსულად გაისმის სურვილი, რომ ის ფული, რომელიც უბრუნდებათ ბანკის დამფუძნებელთ, მოჰხმარდეს სწავლა განათლების საქმეს და ჯერ არ შემხვედრია კაცი, რომელიც აღტაცებით არა სწირავდეს თვის მისაღებს ფულს სწავლა განათლების სასარგებლოდ. ეს ცოტაა: გაისმის ლაპარაკი, რომ კიდევ სხვაც მოგვთხოვონ, ოღონდ სწავლა-განათლების საქმე მოაწყონ, რომ ჩვენი შვილები არ დარჩნენ უპატრონოდ და ჩვენი ერი არ ჩამორჩეს ქვეყანას უკანაო. ისინი, ვინც არ არიან დამფუძნებელნი ბანკისა, თხოულობენ, რომ შესდგეს თავად-აზნაურთა კრება და გაიწეროს ამათზედ ხვედრი ფული, რომლის შემოტანაზედ დღესვე მზად არიან და სხვა ამგვარი.

სხვათა შორის აქ უნდა მოვიხსენიოთ ერთი სასიამოვნო მოვლენაც. ამ დღეებში ქეთევან ჟურულის თაოსნობით იყო გამართული ქ. გორს ცირკი წერა-კითხვის ბაზრის სასარგებლოდ. ცირკის პატრონმა ჟორჟმა, რომელიც სომეხთაგანია, სიამოვნებით იკისრა ეს საქმე. მთელი გორის საზოგადოება, წოდებისა და ეროვნების განურჩევლად, დაესწრო ამ წარმოდგენას და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. ამ წარმოდგენის შემოსავლის ნახევარი გადადებული იყო წერა-კითხვის სასარგებლოდ და დარჩა შემოსავლიდგან წერა-კითხვის ბაზარს ათი თუმანი ნაღდი ფული.

ამ კეთილს საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღეს, ქეთევან ჟურულის გარდა, რომელიც მუდამ დაუზარებლად ეხმარება საზოგადო საქმეს, თ. გრიგოლ ბეგთაბეგოვმა, კნ. ნინო ბეგთაბეგოვმა, სოფიო ლომაურმა, რომელიც ყოველთვის ყველა აქაურს საზოგადო საქმეში იღებს მხურვალე მონაწილეობას, კნ. მარიამ წერეთლისამ, თავ. ივანე მაყაშვილმა, დომიანე დავრიშოვმა, ბარძიმ ავალიშვილმა, თავ. ივანე თუმანიშვილმა, თავ. ალექსანდრე ხერხეულიძემ და ნინო მაკარაშვილისამ.

ანტ. ფურცელაძე

---

ეხლაც არა სჯერა მოგზაურების ნაამბობნი ფაკირების მიერ ჩადენილ სასწაულების შესახებ. მრავალი მეცნიერი ევროპიდგან ინდოეთში მხოლოდ იმიტომ გაემგზავრა, რომ თავისის თვალით დარწმუნებულიყო, რამდენად მართალია მოგზაურების მიერ ნაუწყები ამბები.

ერთის ასეთის ფაკირის და იმის სასწაულების შესახებ მოგვითხრობს ამ ჟამად ერთს ინგლისურს ჟურნალში ა. სარატკუმარ გოში. თვით გოში მოსამართლედ ყოფილა ინდოეთის სატახტო ქალაქ კალკუტაში. ფაკირს სახელად რამ პერშად ჰრქმეოდა; მოსამართლეს იგი თავისს სახლში მიუწვევია. გოშს გარდა დასწრებია ამ საქმეს რამდენიმე კაციც, მათ შორის კალკუტელივე ვექილი ლე-ფენი, ახალგაზრდა მკურნალი გარდი და სხვანი. ფაკირს მრავალი ისეთი რამ გაუკეთებია, რომ მაყურებლები გაკვირვებაში მოუყვანია. ამ ჟამად მკითხველს მხოლოდ ორ ამბავს გარდავცემთ, დანარჩენს შეიძლება შემდეგ დავუბრუნდეთ.

გოში წერილის დასაწყისშივე ამბობს, რომ წინადვე თადარიგი დავიჭირეთ და ყველანი გაფაციცებით ვადევნებდით თვალ-ყურს ფაკირს, რომ თუ რამ თვალთ-მაქცობა ჩაედინა, არ გამოგვეპაროსო.

რამ პერშადი მარტო არ მისულა გოშის სახლში, თან ერთი პატარა ბავშვ იიჯაუყმნია, მასვლისათანავე მოუთხოვნია ქვაბი, წმინდა წყალი და ბრინჯი. შემდეგ ბავშვი შუა ოთახში დაუსვამს და იმის თავზედ, ზედ თმაზედ ცეცხლი დაუნთია. შემდეგ ჩალა უხმარია. აუღია ქვაბი, შიგ ბრინჯი ჩაუყრია, წყალი დაუსხამს და ბავშვის თავზედ გაჩაღებულ ცეცხლით ბრინჯის ხარშვას შესდგომია. 30 წუთის შემდეგ წყალს დუღილი დაუწყია. როდესაც პერშადს ქვაბი გადმოუღია, იქ მყოფნი დარწმუნებულან, რომ ბრინჯი სამაგალითოდ მოხარშულა. ერთი რამ შეუმჩნევიათ, სახელდობრ ის, რომ წყალი არ გაცხელებულა, მხოლოდ ოდნავ გამთბარა. ვერაფერი ეშმაკობა და თვალთ-მაქცობა ვერ შევამჩნიეთ პერშადსაო, დასძენს გოში, სახელოები გადაკეცილი ჰქონდა და, იმას გარდა, რაც ჩვენ მივეცით ხელში, არაფერი არ დაუჭერიაო.

ამ სასწაულით გაკვირვებულნი იქ დამსწრენი ჯერ საკმაოდ არ გამორკვეულიყვნენ, რომ ინდოელი მეორე, უფრო გასაოცარს სასწაულს შესდგომია. მისულა კედელთან, ერთი ხელი დაუდვია ზედ და მეორეთი ხელსახოცი გადაუფარებია. შემდეგ ლოცვას შესდგომია. რამდენისამე წუთის შემდეგ პერშადს ხელი აუღია და დამსწრეთ დაუნახავთ კედელზედ მიკრული პატარა ვერცხლის კრანი.

— აი, ბატონებო, ამ კრანს ხომ ჰხედავთ, მიუმართავს ინდოელს: რა სასმელიც გნებავთ შემიკვეთეთ, სულ ერთია ფრანგული ღვინო იქნება, ჩვენებური შარბათი, თუ სხვა რამ, და ემსაათში აქედგან ჩამოგისხავთო.

ხმა არავინ ამოიღოო, ამბობს გოში, პირველმა ისევ მე დავარღვიე სიჩუმე, მოვატანინე ბიჭს ჭიქები და პორტვეინი შევუკვეთე. ინდოელმა ჩემი სურვილი აასრულა, მოატრიალა კრანი და ჩემის სახლის კედლიდგან მშვენიერი წითელი ღვინო ჩამოუშვა. ჯერ კიდევ ეჭვში ვიყავი და მეგონა, რომ ეს გასაოცარი კაცი მატყუებდა, მაგრამ როდესაც ჭიქა მოვიყუდე, დავრწმუნდი, რომ შიგ საუკეთესო, ნამდვილი პორტვეინი იყო. ჩემს მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს: ზოგმა შამპანიის ღვინო მოითხოვა, ზოგმა შერრი, ზოგმა კიდევ კლარეტი. პერშადმა იმავე კრანიდგან ჩამოასხა ყველა ეს სასმელები. შემდეგ ხელ-ახლად შეულოცა და კრანი ისევე უცბად გაჰქრა, როგორც გაჩნდაო.

***

ახალ-გვინეის ველურები ინდოელ ფაკირებზედ არა ნაკლებ შესანიშნავნი ყოფილან. ამ ველურებს, როგორც ავსტრალიის გაზეთები იუწყებიან, ამას წინად ხელთ ჩაუგდიათ ერთის დაღუპილის გემის რამდენიმე ზღვაოსანი, არც აუღიათ, არც დაუღიათ, დიდი ნადიმი გაუმართავთ, შეუწვავთ ეს ზღვაოსნები და ლაზათიანად შეჰქცევიან იმათს ხორცს. დაღუპვილის გემს სახელად „Mombare“ რქმევია, ეკუთვნოდა თურმე იგი ერთს ავსტრალიის საზღვაოსნო საზოგადოებას.

ავსტრალიის გაზეთების სიტყვით, ეს გემი ახალ-გვინეის მახლობლად დაღუპულა წარსულის წლის 9 დეკემბერს. დარჩობას გადარჩენილან გემის ბოცმანი ჯიმ გრეენი და 12 ზღვაოსანი. როდესაც ზღვის ტალღებთან ბრძოლის შემდეგ ამ ცამეტს კაცს ახალ-გვინეის ნაპირამდე მიუღწევიათ და ნაპირზედ გადასულან, მოულოდნელად თავს დასხმიან ამ კუნძულის ველურები ჯოხებით, ისრებითა და ქვებით შეიარაღებულნი. ცამეტივე შეუპყრიათ და შებოჭილი თავიანთ სოფელში წაუყვანიათ.

„არასოდეს არ დამავიწყდება ის საზარელი სურათიო, მოგვითხრობს ჯიმ გრეენი, რომლის მოწმედაც იმ დროს გავხდი. სოფელში მისვლისათანავე მიწაზედ დაგვაწვინეს. სიხარულის ნიშნად ველურებმა აქა-იქ ცეცხლი გააჩაღეს. არ გასულა ბევრი ხანი, რომ ერთი უზარმაზარი ველური ხელში დანით ჩემ საცოდავ ამხანაგ კლარკისაკენ გაემართა. საწყალმა კლარკმა მაშინვე იგრძნო, რაც მოელოდა და საზარელის ხმით დაიყვირა: „ძმებო, დავიღუპენით! კაცის-მჭამლების ხელში ჩავარდნილვართო!“ იმის საცოდაობას ვეღარ ვუყურე და თვალები დავხუჭე, მაგრამ როდესაც ხელ-ახლად გავახილე, მეგობრის თავი ჯოხზედ ჩამოცოხილი დავინახე. ასეთივე დღე დააყენეს ორს სხვა ამხანაგსაც—ვრაიტსა და ჯონსა. დანარჩენთ იმ დღეს ხელი არ გვახლეს, უთუოდ მეორე დღისთვის შეგვინახეს. საღამოზედ მთელი სოფელი ნადიმს შეუდგა. როდესაც ნადიმი დასრულდა, ერთი ველური მომიახლოვდა. ხელში დანა ეჭირა. დანის დანახვისათანავე საშინელმა შიშმა და კანკალმა ამიტანა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ხელი არ მახლო, მხოლოდ დანა გამომიწოდა და თითონ სადღაც გაჰქრა. რასაკვირველია, დრო აღარ დავკარგე, გადავჭერი თოკი, რომლითაც დაბმული ვიყავი და ამ რიგად თავი განვითავისუფლე. ის იყო ამხანაგებს მივვარდი გასანთავისუფლებლად, მაგრამ ამ დროს ველურების ხმაურობა და ყვირილი მომესმა. გაქცევის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა და სწორედ ასეც მოვიქეცი. იქვე ტყეში შევვარდი და გათენებისას ნაპირს მივედი. ილბალზედ ამ დროს სიდნეიში მიმავალი გემი „Pearl“-ი შემხვდა, რომლის უფროსმა სიხარულით მიმიღო“.

გემის უფროსს მაშინვე მთელი რაზმი გაუგზავნია ტყვეების განსათავისუფლებლად, მაგრამ სოფელში საცოდავის ზღვაოსნების ძვლების მეტი ვერა უპოვნიათ-რა.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი სოხუმიდგან

28 აპრილი

როგორც უწყიან მკითხველებმა, დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ, როგორც იყო, სოხუმელებს ბედმა გაუღიმა და ეღირსა თვით-მმართველობის უფლება. დღეს, 28 აპრილს. დაფიცეს ახლად ამორჩეული და საგუბერნიო მმართველობისაგან დამტკიცებული ქალაქის ხმოსნები, რომელთაც დიდი ბეჯითობა და უანგარო შრომა სჭირიათ, რომ ჩვენის უპატრონობით დაჩაგრულ ქალაქის საქმეები გამოაკეთონ და თვით ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს სოხუმს მისცენ საშუალება ბუნებრივს ზრდა-განვითარებისა და ხელი შეუწყონ, რათა ჩვენმა ქალაქმა ღირსეულად დაიჭიროს კუთვნილი და შესაფერი ადგილი შავის ზღვის ნაპირის ქალაქთა შორის. როგორც ვხედავთ, ჩვენს ხმოსნებს ღირსეულად შეუგნიათ თავისი მოვალეობა, ჯერ-ჯერობით მაინც, ქალაქის სამოურავო კანდიდატი გამონახეს და, უეჭველია, კიდეც აირჩევენ, რადგანაც ხმოსანთა უმეტესობას ჰსურს ქალაქის თავად აარჩიონ ქართულს მწერლობაში საკმაოდ ცნობილი განჯის საგუბერნიო მმართველობის წევრი ბ-ნი ალექსანდრე სარაჯიშვილი. ჩვენი ხმოსნები სწორედ ამ ჟამად უკეთესს კანდიდატს ვეღარ იპოვნიდნენ: ბ-ნი სარაჯიშვილი ცნობილია ვითარცა მხნე, ბეჯითი, გამოცდილი და უანგარო საზოგადო მოღვაწე და ადმინისტრატორი. სწორედ ამისთანა მოურავი იყო საჭირო ჩვენი ქალაქისათვის, რომლის აბნეულ-დაბნეულ საქმეების გასარიგ-გამოსაწყობად საჭიროა ფრთხილი ადმინისტრატიული ნიჭი და გამოცდილება შრომის უნარითურთ.

როგორც ამბობენ, თვით ბ-ნი სარაჯიშვილიც თანხმაა ამ თანამდებობაზედ კენჭი იყაროს. მაშ, მოულოცოთ სოხუმელებს და უსურვოთ გამარჯვება! ქალაქის მდივნად ასახელებენ ა. ნიკიტინს.

ჰამუთ-ბეი

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დრეიფუსის საქმე რომ ხელმეორედ უნდა გაირჩეს, ეს საეჭვოდ აღარავის მიაჩნია ამ ჟამად. როგორც უფროსი ბრალმდებელი საკასაციო სასამართლოსი, ბ-ნი მანო, ისე საქმის მომხსენებელი ბალო-ბოპრე იმ აზრის არიან, რომ 1894 წლის განჩინება დრეიფუსის შესახებ უნდა გაუქმდესო. საქმე თუ ახალს სამხედრო სასამართლოს გარდაეცა განსახილველად, რაიცა უეჭველად ეჭვს გარეშე მიაჩნიათ, მთავრობის წარმომადგენელი ვალდებული იქნება, საქმის ხელ-ახლად გარჩევის დროს საკასაციო სასამართლოს გარდაწყვეტილება დაიცვას. ამიტომ დარწმუნებულნი არიან, რომ ახალი სამხედრო სასამართლო უთუოდ გაამართლებს დრეიფუსსო. საკასაციო სამართლის დადგენილება, გაზეთების სიტყვით, მთავრობას საშუალებას მისცემს სამხედრო სასამართლოს აამოროს უკველგვარი დაბრკოლებანი საქმის სისწორით გარდაწყვეტისათვის.

—

**უნგრეთი.** პარლამენტის ოპოზიციას იმ პირობით მოურიგდა კოლომან სელს, რომ საპარლამენტო არჩევანების დროს მომეტებული წეს-რიგი დაეჭირებინა მთავრობას და მოესპო ის ბოროტ-მოქმედება, რომელიც ამომრჩევლებს სინიდისიერად მოქმედების საშუალებას უსპობდა, მაგალითად, მოსყიდვა ამომრჩევლებისა და სხ. სელმა შეასრულა თავისი დანაპირები და მართლაც დიდი უფლებები მისცა არჩევანების საქმეების განკარგვას. ამ დღეებში მან წარუდგინა პარლამენტს ახალი კანონ-პროექტი არჩევანების შესახებ, რომელმაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია პალატაში. განსაკუთრებით შეაშფოთა კლერიკალები პროექტის ორმა მუხლმა, რომლითაც ეკრძალვის კათოლიკეთა სამღვდელოებას მონაწილეობა მიიღოს არჩევანებში და რაიმე გავლენა იქონიოს ამომრჩევლებზე, და რომლის ძალითაც დამნაშავე ერთის წლით საპყრობილეში უნდა ჩაჯდეს და 500 გულდენი უნდა გარდაიხადოს ჯარიმად. სასულიერო წოდებას იცავდნენ სხვებზედ უფრო, ეგრედ წოდებული, ერთგულ კათოლიკეთა დასის წარმომადგენელნი. ხსენებულ დასის ერთი წევრი, მღვდელი, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მთავრობა, ამცირებს-რა ქვეყნის თვალში სამღვდელოებას და უკრძალავს რა მას გავლენა იქონიოს საზოგადო საქმეებზედ, ამით ხელს უწყობს ურწმუნოებისა და ანარქიის გავრცელებასო. დეპუტატი რაკოვსკი ამტკიცებდა, რომ ახალი კანონ-პროექტი ცილს სწამებს სამღვდელოებასო. ორატორები ისე გაცხარდნენ ამ პროექტის განხილვის დროს, რომ დეპუტატმა ოლაიამ კათოლიკეთა ერთს მღვდელს შეჰყვირა: „დაიკარგე [illegible]“! პროექტი შეიწყნარა პალატამ დიდძალი ხმის უმეტესობით, მაგრამ არავინ იცის, მაგნატთა პალატაც შეიწყნარებს, თუ არა, სადაც ბევრი მომხრე ჰყავს სამღვდელოებას.

დიდ მნიშვნელობას აძლევენ აგრეთვე ამ პროექტის იმ ორ მუხლს, რომლის ძალითაც ამომრჩევლებს სასყიდელი უნდა ეძლიოს არჩევანების დროს მოცდენისათვის. ამით მთავრობას იმედი აქვს რამდენიმედ მაინც შეასუსტოს უკანასკნელ დროს ძლიერ გავრცელებული მოსყიდვა ამომრჩევლებისა.

—

**ბოლგარია.** 25 აპრილს საერონო კრების არჩევანები მოხდა ბოლგარიაში. არჩეულ იქმნა სულ 159 დეპუტატი, რომელთა შორის 112 კაცი მთავრობის მომხრედ ითვლება და 47— ოპოზიციის წევრებად. გაზეთები ამტკიცებენ, რომ ჯერ მაგალითი არა უოფილა ბოლგარიაში,—ოპოზიციას ამდენი წარმომადგენელი აერჩიოსო, და ეს იმას უნდა მიეწეროს, რომ ეხლანდელი მთავრობა უთუოდ არ ავიწროებდა ამომრჩევლებს, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე სტამბულოვისა და სტოილოვის დროსაო. რაღა თქმა უნდა, ბოლგარიის ოფიციოზურ გაზეთის „ნოვ ვეკ“-ის სიტყვები, რომ მთავრობა სრულიად არ გარეულა საქმეში და არავითარი გავლენა არ ჰქონია არჩევანებზეო, სავსებით არ უნდა იყოს მართალი. მთავრობის აგენტები გულხელ დაკრეფილი არ დაუწყებდნენ ცქერას ოპოზიციას, რომლის აგიტაცია, იმავე „ნოვ ვეკ“-ის სიტყვით, უკიდურეს წერტილამდე მისულა, და თითონაც ეტყოდნენ რასმე ამომრჩევლებს მთავრობის სასარგებლოდ, მაგრამ წელს რომ უფრო თავისუფლები იყვნენ ამომრჩევლები, წარსულ არჩევანებთან შედარებით, ამას თითონ ოპოზიციაც ვერა ჰყოფს უარს.

**შეერთებული შტატები.** როგორც გაზეთები ამბობენ, პრეზიდენტს მაკ კინლეის აზრადა ჰქონია საგანგებო კრება მოახდინოს კონგრესისა ფილიპინების საქმეების გარდასაწყვეტად. ის დარწმუნებულია თურმე, რომ ერთი თვის განმავლობაში უთუოდ დამყარდება მშვიდობიანობა ფილიპინებზედ, და ამიტომ ეჩქარება მოიწვიოს კონგრესი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რაგვარი წეს-წყობილება უნდა დაარსდეს ხსენებულ კუნძულებზედ. ზოგიერთების სიტყვით, მაკ-კინლეის იმიტომ ეჩქარება ფილიპინების საქმის გათავება, რომ პრეზიდენტის არჩევანი მოახლოვდა, და ეს საქმე თუ მანამდი დამთავრა, უეჭველ ეჭვს გარეშე, რომ ხელმეორედ არჩეული იქმნება.

## დამაკვირდი

ნახე კეთილი მიქრიდა,
ხალად-ხალადო გამქონდა;
მომბერა ქარმან სასტიკმან,
გალალ-გალალო დამზრავდა.

ლასურიძე

* * *

კრულია ჟამი მუხთალი,
უკეთთა გვემტერების.

როსტომიანი

* * *

სჯობს მცირედი მართლისა, ვიდრე-და მრავალსა მას სიმდიდრესა ცოდვილთასა.

ფსალმუნი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, პროფესორის რენტგენის სხივები ბევრს საქმეში გამოიყენეს. ეხლა, როგორც გაზეთი „Post“-ი იუწყება, ამ სხივების წყალობით ამას წინად ერთი უცნაური ქურდიც აღმოუჩენიათ. ერთი მეეტლე დუქანში შესულა და ღვინო მოუთხოვნია. წასვლის დროს წვრილი ფული არა ჰქონია და დახლზედ ოც-ფრანკიანი ოქროს ფული დაუგდია. ვიდრე მედუქნე ხურდასა სთვლიდა, ოქროს ფული სადღაც გამქრალა, რის გამო მედუქნესა და მეეტლეს შორის დიდი ჩხუბი ატეხილა, არა შენ აიღე ფული და არა შენაო. ის იყო ლაპარაკი ჩხუბად აპირებდა გადაქცევას, რომ დუქანში მყოფს ერთს სტუმარს უთქვამს, ფული დახლიდგან აგერ იმ ყმაწვილმა აიღო და გადაყლაპაო, თან ხელი კარებში მდგომ ყმაწვილისკენ გაუშვერია. ეს უკანასკნელი დიდს უარზედ დადგა თურმე, თვალითაც არ დამინახავს ფულიო. მაშ ნ მედუქნეს უთქვამს, პოლიციაში წავიდეთ, იქ რენტგენის სხივებით გაგსინჯავენ და გაიგებენ შენა გაქვს თუ არა ფულიო. საწყალ ყმაწვილს ისე შეშინებია ამ სხივებისა, რომ მაშინვე გამოტეხილა, მართალია, მე გადავყლაპე ფულიო.

* * *

როგორც სტატისტიკოსებს გამოუანგარიშნიათ, ევროპიელ ენათა შორის ყველაზედ მდიდარი ინგლისური ენა ყოფილა. ეს ენა 260,000-ზედ მეტს სიტყვას შეიცავს თურმე. მეორე ადგილი გერმანულს უჭირავს—80,000 სიტყვას შეიცავს: შემდეგ იტალიანურს—45,000, ფრანგულს—30,000, ესპანიურს—20,000. აღმოსავლეთ ხალხების ენათა შორის პირველი არაბულია, რომელიც სიტყვების სიმრავლით ინგლისურსაც-კი სჭარბობს. ჩინური ენა 49,000 სიტყვას შეიცავს, ოსმალური—22,530 სიტყვას. რაც უფრო დაბლა სდგას კულტურით ხალხი, მით უფრო ღარიბია იმისი ენა. კაფრების ენაში 8,000 სიტყვა ძლივს მოიძებნება. ეს კიდევ ძლიერია ავსტრალიელ ძველ ტომთა ენასთან შედარებით. ეს ენა 2,000 სიტყვაზედ მეტს არ შეიცავს თურმე.

* * *

გაზეთ „Рус. Лист.“-ის სიტყვით, მოსკოვის გაზეთის ერთს თანამშრომელს (გვარი ჯერ არ გამოუქვეყნებია) გამოუგონია ახალი საფრენი მანქანა. ეს მანქანა, გაზეთის სიტყვით, ბევრადა სჯობია ყველა დღემდის გამოგონილ საფრენ მანქანას. უმთავრესი ღირსება ამ მანქანისა ის არის თურმე, რომ ამ მანქანით ფრენა საშიში და საფრთხე არ არის. ამას გარდა მანქანის გაკეთებას რამდენიმე ასს მანეთზედ მეტი არ უნდა თურმე.

* * *

ერთს ინგლისურს ჟურნალში ექიმი კირნანი ამტკიცებს, რომ ნამეტანი სიმსუქნე გადაგვარების ნიშანიაო. კირნანის სიტყვით, სიმსუქნეს დიდი კავშირი აქვს გენიოსობასთან და, როგორც უთუოდ უწყიან მკითხველებმა, გენიოსობაც ხომ ბევრის მეცნიერის აზრით გადაგვარების მომასწავებელია. ბევრი გენიოსი მართლაც ძალიან მსუქანი ყოფილა. ვიქტორ ჰიუგოს იმდენად მოზრდილი მუცელი ჰქონია, რომ ტანისამოსი ერთ დღეს არ ადგებოდა, მაშინვე ღილები სწყდებოდა. ასეთი მუცელი საოცარის მადის ნაყოფი ყოფილა. შესანიშნავი მწერალი მართლა ძალიან ბევრსა სჭამდა თურმე. ყოველ დილით ყავასთან ერთად უეჭველად ხბოს ხორცის კატლეტები, როსტბიფი, ერბო-კვერცხი, რძე და ყველი უნდა მიეტანათ ხოლმე. ჰიუგო ყველა ამას თვალის დახამხამებაზედ უღებდა ბოლოს. როსსინი უზარმაზარი მუცლის წყალობით თვისს ფეხებს ვეღარა ჰხედავდა. ჟიულ ჟანენს ვერც ერთი დივანი ვერ უძლებდა თურმე. არც ალექსანდრე დიუმა ყოფილა წვრილი კაცი და საჭმელსაც იმდენს გეახლებოდათ, რამდენსაც სამი კაცი ერთად. სენტ ბევიც რასინისავით მუცლის წყალობით მოკლებული იყო თვისის ფეხების ცქერას. ბალზაკი ისეთი სქელი ყოფილა, რომ სამი კაცი ხელი-ხელს გადაბმული იმის წელს ძლივს შემოსწვდებოდა. ევგენი სიუ, „პარიჟის საიდუმლოებათა“ ავტორი, ძირს სრულებით ვერ იყურებოდა. სქელ კაცებს შორის საპატიო ადგილი ეჭირათ აგრეთვე ტეოფილ გოტიეს, რენანს, ფლობერს და სარსეს.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: [illegible])

(შემდეგი *)

ეს ალაშკერტს ნამუშაკევი თთვენი-სავინაქსარი იწყება სექტემბრიდამ და მიდის მეორე წლის ივლისამდე (უნდა ყოფილიყო აგვისტომდე, გარნა ფურცლები დაკარგულა!). შიგ ჩართულია სხვა-და-სხვა დღესასწაულების საკითხავები, სხვა-და-სხვა წმიდანის ცხოვრება, და დასურათხატებულია.

თავდაპირველად ამ დაფურცლილს წიგნში ყოფილა სულ 84 სურათ-ხატი, რომელთაგან დღეს გადარჩენილა მხოლოდ 77 და ამათგან ერთი (მე-95 კაბად.) აგრეთვე ნაჭრილია. დახამთეხიკი კისმე ძეციერო ბარბაროსს მაკრატლით ამოუჭრია!

აი თვით ნუსხა სურათ-ხატებისა:

მეორე კაბადონზე სურათი 2, 1 სურ. (კაბად. 4), რომელსაც აწერია „დედაკაცი რომ განკურნა“, შემდეგ: „წყლით მანკიერი განკურნა“ (კაბ. 5), „კეთროვანი განკურნა“ (7), „არიმათიელი ევედრება კურნებას“ (10), „განრღვეული განკ. ქრისტემან“ (11), ბრმას თვალი აღუხილა (14), ლაზარეს აღდგინება (15), იერუსალიმს შესვლა (18), იესო დაიჭირეს (19), იესო წინაშე კაიაფასი (21) კაიაფასით ტაძრად წაიყვანეს (23), ჯვარცმა (25), ჯვრიდამ გარდმოხსნა (25), მენელსაცხებელნი (27), აღდგომა ქრისტესი (29), ქრისტეს გამოცხადება (32), ქრისტეს გამოცხადება მგზავრთათვის (33), სამარიტელი ქალთან (36), 12 წლის ქრისტე ტაძარში (38), განრღვეულის განკურნება (39), იოანე, მთავარ-ეპისკოპოსი კოსტანტინეპოლისა (41), შობა მარიამისა (44), ჯვართ-ამაღლება (46), მოწამე ნიკიტა (47), წმ. თეკლა (49), წმ. მარტინე (51), ამაღლება (53), ზაქარიას დადუმება (56), ანთიმოზ მღ.-მოწამე (58), ? ამოჭრილია (კაბად. 59), ანანია მოციქული (62), იოროთე ათინელი (64). იაკობ მოციქ., ძე ალფესი (66), ლუკა მახარობელი (68), კოზმა და დამიანე (70), მოციქ. ფილიპე (72), მათე მახარობელი (73), გრიგოლ საკვირველ-მოქმედი (74), სტეფანე ახალი (76, ამოჭრილია), საბა (77, ამოჭრილია), ნიკოლოზ (79), ეგნატი (82), შობა ქრისტესი (83), მთავარდ. სტეფანე (85), წმ. ბასილი (87), სილივესტრო პაპი (90), ნათლისღება (91), წმ. ანტონი (93), გრიგოლ ნოსელი (95, ბოლო გვერდი წაჭრილი აქვს), წმ. თეოდოსე (95, ამოჭრილია), ეფთვიმე დიდი (97), მოციქ. ტიმოთე (98), ანტონ დიდი (99), ათანასი, კირილე (100), თევდოტა, მაკარი (100), კლიმენტი, ალათანგელ (102), ვლასი (103), ბენედიქტე (105), ხარება (107), ევტიხი (109), მოც. მარკოზ (111), ვასილი ამასიელი (112), ? (113, ამოჭრილია), მოციქ. იაკობ (115), იერემია წინასწ. (117), ათანასი ალექსანდ. (118), ესაია წინასწ. (120), პახუმ დიდი (122), ზაქარია წინასწ. (122), ? (123, ამოჭრილია), პროკოპი (125), წმ. ეპისკოპ. დომენტი (127), თებრონია (129), სამსუხონ უცხოთ შემწყნ. (129), პეტრე და პავლე (130), მარიამ მაგდალ. (132), ილია წინასწ. (133), წმ. მარიამ (135), წმ. ივლიტა (138, ამოჭრილია), ნათლის-მცემლის თავის კვეთა (141), ორი სურათ-ხატი (142).

სურათ-ხატები საოცარის ხელოვნებით გამოყვანილია. მრავალის სახის ფერადები შენახულა (სადა არ წაუხლადით) ცოცხლად, დაუჭკნობლად, თუმცა და წიგნი, თითქმის, 900 წლისაა! ამგვარავე ფერადებით, და უფრო-კი ხელოვნურად, დასურათხატებულია ალავერდიდამ ჩამოტანილი კალიგრაფის მონასტერში გადაწერილი (1059 წლის) სახარება. კაისაც ცოტაოდენი რამ ხელოვნებისა გაეგება, არ შეიძლება თვალი არ მოსტაცოს ამ ნაშთების სურათ-ხატების სიმშვენიერემ. ზოგიერთი სურათ-ხატი, მეტადრე სახარებისა, გეგონება, გუშინ ან გუშინ-წინ გამოსულა სამხატვროდამაო!

ასეთი სიმკვიდრე და შეუჭკნობლობა ძველის ფერადებისა და წამლებისა ამტკიცებს ბრძენთა მწერლობის მოწმობას, რომ „ქართველებმა იციანო იმისთანა წამლები და ფერადები, რომელნიც არას დროს არ ხუნდებიანო“.

ქორონიკონი წიგნზედ არ არის აღნიშნული, გარნა მე-61 კაბადონზე შენახულა ძვირფასი ცნობა, რომლის მეოხებით შეგვიძლიან აღვნიშნოთ თვით დროც წიგნის გადაწერისა და დასურათ-ხატებისა.

(კაბად. 61):

თუესა ოკდომბერსა აქოვს დღე: ლა: დღეთა აქოვს ჟამი ია და ღამეთა აქოვს ჟამი იგ:. (აქვე ტექსტის კალმითა და მელნით): „უფალო ღმერთო! წყალობით მოიხსენე სასუფეველსა შენსა ზაქარია გალამგარტელი *): ამინ იყავნ::“

ეს ხსენებული სახელი ჩვენ მიგვიყვანს მე-XI საუკ. დასაწყისს და თვალ-წინ დაგვიხატავს ერთს სურათს მაშინდელის საქართველოისას.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო შემდეგი რუსული წიგნი: „О народномъ врачеваніи въ закавказскомъ краѣ“.—ექიმ ი. ი. ახტიუხოვისა. წიგნს სურათები აქვს ჩართული და ჰღირს 30 კაპეიკი.

## გამოსადეგი ცნობა

დუქნებში ნასყიდი ნავთი მშვენივრად იწმინდება წმინდად დანაყილის საჭმლის მარილით და ამის გამო უკეთ ანათებს. ჩვეულებრივად ლამპარის სანავთე...

---

*) იხ. „ივერია“ № 94.

*) ვალაშკერტელების საწყსოდ ითვლებოდა ყალზევანს (აწ ყალიზმანი) ზეითი [illegible] ვალაშკერტს (აწ ალაშკერტი) აქეთ ხინუსი და ღევაბოჲნს აქეთი.

ში უნდა ჩაჭყავროთ 3-დგან 9 მასხ. მარილი, თუ ძალიან დიდი არ არის ლამპარი, და სამ თვეში ერთხელ გამოუცვალოთ ხოლმე მარილი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მაისი

**პეტერბურგი.** 5 მაისს ტავრიდის სასახლეში გამართულ იქმნა მე-3 საერთაშორისო საბალოსნო გამოფენა. პარაკლისს დაესწრნენ დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული და დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. 2 საათზედ გამოფენა დაათვალიერეს ხელმწიფე იმპერატორმა, დიდმა მთავრინამ მარიამ პავლეს ასულმა, დიდმა კნიაჟნამ ელენე ვლადიმერის ასულმა, დიდმა მთავრებმა, მინისტრებმა, უცხო სახელმწიფოთა ელჩებმა და დესპანებმა. ეს გამოფენა ექსპონატების სიმდიდრით წინანდელ გამოფენებსა სჯობია.

**პარიჟი.** „Figaro“ ამბობს, რომ შემიძლიან ვაუწყო მკითხველებს, თუ რისგან შესდგება საიდუმლო „dossier“-იო. იგი 7 საბუთის ქაღალდს შეიცავს: 1) „ეს საზიზღარი დ.“, 2) დამტკიცებებს და ექვებს, 3) რეზერვისტების შესახებ, 4) სამხედრო აგენტის შვეიცარიაში წასვლის შესახებ, 5) (?), 6) პანიცარდის დეპეშას და 7) იმპერატორ ვილჰელმის წერილს.

**ჯიბუტი.** აქ მოვიდა მარშანის ექსპედიცია.

**პრეტორია.** ისინი, ვინც იოანესბურგში დააპატიმრეს შეთქმულობისათვის, ერთის გარდა ინგლისის ქვეშევრდომნი აღმოჩნდნენ. ყველამ განაცხადა, რომ ინგლისის ჯარში ვმსახურებდითო.

6 მაისი.

**პეტერბურგი.** დიდნი მთავარნი მიხეილ ალექსანდრეს ძე და ანდრია ვლადიმერის ძე ფლიგელ-ადიუტანტებად ინიშნებიან.

სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგს სენ. საბლერს ებოძა ორდენი თეთრის არწივისა.

**კაპშტადტი.** გუშინ იოანესბურგს, ტრანსვაალში, დატუსაღებულ იქმნა 8 კაცი,—იმათ შორის მომეტებულნი ინგლისელები არიან, რომელთაგან სამსახურიდგან გადამდგარი პოლკოვნიკია, როტმისტრი და პორუჩიკი,—რომელთაც რესპუბლიკის წინაამდეგ შეთქმულობა ჰბრალდებათ. ბრიტანიის დიპლომატიურმა აგენტმა სთქვა, რომ სამწუხაროდ თავი შეირცხვინეს იმ კაცებმა, რომელიც ინგლისის მუნდირს ატარებდნენო.

**ბერლინი.** „Norddeutsche Zeitung“-ი ამბობს: „იმპერატორის ნიკოლოზის დაბადების დღეს გაიხსნა გააგაში სამშვიდობო კონფერენცია, რომლისთვისაც მადლიერი უნდა ვიყვნეთ სულგრძელის იმპერატორისა. ამის გამო ამ დღეს განსაკუთრებული ნათელი ეფინება. კეთილშობილს იმპერატორს, საიმედო მეგობარს ჩვენის იმპერატორისას, მივმართავთ ჩვენ დანარჩენ კულტუროსან ქვეყნებთან ერთად და დიდის მოწიწებით ვულოცავთო“.

6 მაისი.

**პეტერბურგი.** 6 მაისს ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დიდად სადღესასწაულო დღეს, ცარსკოე სელოს სასახლის ეკკლესიაში სასახლის სამღვდელოების მიერ გარდახდილი იქმნა წირვა. 11 საათზედ სასახლიდგან გამობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, რომელთაც მოსდევდნენ დიდნი მთავრინანი და მთავარნი. წირვის შემდეგ დიდმა მთავრებმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ და ანდრია ალექსანდრეს ძემ და ანდრია ვლადიმერის ძემ ფიცი დასდეს როგორც ხელმწიფის სამშობლოს ერთგულებისა, აგრეთვე მემკვიდრეობის უფლებისა და საგვარეულო წეს-რიგის დაცვისა. ეკკლესიიდგან მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი შებრძანდნენ სასახლის შიდა ოთახებში, სადაც იქ თავ-მოყრილთ მიულოცეს ხელმწიფე იმპერატორსა და დიდს მთავრებს მიხეილ ალექსანდრეს ძესა და ანდრია ვლადიმერის ძეს ფიცის დადების გამო.

6 მაისს, ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს, სატახტო ქალაქების ყველა ტაძრებსა და ეკკლესიებში გარდახდილ იქმნა პარაკლისი. ისაკის ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა მიტროპოლიტი. დღი ით სატახტო ქალაქი და ცარსკოე სელო შემკული იყო ბაირაღებით, ხოლო საღამოს—გაჩირაღდნებული.

**მოსკოვი.** ყველა ეკკლესიაში დიდის დღესასწაულით გარდაიხადეს პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ. ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის ტაძარში მწირველი ჰბრძანდებოდა მიტროპოლიტი.

**ვარშავა.** ივანოვსკის მატყლის იარმუკობა 30 ივნისისათვის არის დანიშნული. 2 ივნისს ბირჟაზედ თათბირი ექმნებათ მაზანდის შესახებ. მატყლის აწონვას 21 მაისს დაიწყებენ.

**გააგა.** ყველა წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სამშვიდობო კონფერენციაზედ დასასწრებლად. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ბოფორი იქმნება დანიშნული საპატიო პრეზიდენტადაო. ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ ნება დაერთოთ, რომ მხოლოდ დასაწყისს დაესწრნენ. შეუდგებიან თუ არა იმ კომისიების წევრთა არჩევანს, რომელმაც პროგრამმა უნდა შეიმუშავოს, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი დარბაზიდგან უნდა გავიდნენ. კომისიების არჩევანის შემდეგ კონფერენცია ერთის კვირით შესწყვეტს მუშაობას, რათა კომისიებს დრო მისცეს საქმის გაკეთებისა.

**პარიჟი.** ამ დილით ფოსტიდგან წერილები და ამანათები არ დარიგებულა, რადგან მუშაობის აღმკვეთ ფოსტის მოხელეთა რიცხვმა 3,800 კაცამდე იმატა. ფოსტათა მინისტრის ამხანაგი ამაოდ ეცადა გაფიცულთა დაშოშმინებას და შემდეგ წავიდა დიუპუისთან სათათბიროდ, სრული წეს-რიგიანობაა დაცული.

როდესაც მიუყო აშოშმინებდა ფოსტის მოხელეთ, ისინი არას ათქმევინებდნენ და პასუხად უყვიროდნენ: „სამსახურს თავი დაანებე! ჩვენ არა გვინდა რა იმის მეტი, რომ გრუსიეს აზრი იქმნას განხორციელებულიო“. იმედი აქვთ, რომ სამსახურის საქმე შუადღემდე გაწეს-რიგებული იქმნებაო. გრუსსიეს აზრი, რომელიც პალატამ შეიწყნარა, ხოლო სენატმა უარ-ჰყო, ის არის, რომ ხარჯთ-აღრიცხვას ორი მილიონი ფრანკი მიემატოს ფოსტის მოხელეთა ჯამაგირებისათვისაო.

გუშინ დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე ლუბესთან ჰბრძანდებოდა დარბაზად. სამაგიერო დარბაზობა ლუბემ მაშინვე გარდაუხადა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბანკმა თამასუქთა განაღდების დისკონტში შეამცირა: სამის თვის ვადისამდე—$4^{1}/_{2}$ %-ით, 6 თვისამდე—$5^{1}/_{2}$ %-ით, 9 თვისამდე—$7^{1}/_{2}$ ით; ხოლო ფასიან ქაღალდების გირავნობით—5-დგან—7%-ით.

**ვენა.** აქაური გაზეთები სიამოვნებით ჰლაპარაკობენ იმ დღესასწაულის გამო, რომელიც იყო იმპერატორის ნიკოლოზ მეორეს სურათის პოლკოვნიკის ვორონინის მიერ იმპერატორ ალექსანდრე მე-III რაზმში გარდაცემის დროს. ხელმწიფე იმპერატორისა და რუსეთის სამეფო გვარეულობის სადღეგრძელო წარმოსთქვა რაზმის უფროსმა, ხოლო იმპერატორის ფრანც-იოსებისა—პოლკოვნიკმა ვორონინმა. „ეს დღესასწაულიო, სწერს „Neue Freie Presse“, მანუგეშებელი საბუთია იმ ძმობა-ერთობისა, რომელიც არსებობს ავსტრი-უნგრეთისა და რუსეთის ჯარს შორის. ხოლო ამას უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვს, რადგან იგი ახალი დამტკიცებაა ავსტრიისა და რუსეთის იმის შესახების მორიგებისა, რომ მშვიდობიანობა და აწინდელი მდგომარეობა აღმოსავლეთისა დაცული იქმნას, რაც მცირეოდნად არ წარუმართავს ხელს ბალკანეთში ხალხის დამშვიდების საქმესაო“.

7 მაისი

**ვისბადენი.** სადილის დროს, რომელიც გამართულ იქმნა რუსეთის იმპერატორის დაბადების დღესასწაულის გამო, იმპერატორმა წარმოსთვა სიტყვა და განაცხადა, ხელმწიფის სადღეგრძელოსთან ერთად ვისურვებ, რომ მისის მეოხებით განზრახულ კონფერენციას კარგი შედეგი მოჰყვეს. შემდეგ იმპერატორმა მიჰმართა რუსეთის ელჩს და დასასრულ წარმოსთქვა „გაუმარჯოს მის უდიდებულესობასაო“!

**პარიჟი.** საფრანგეთის დეპუტატ-პალატის პრეზიდენტი დეშანელი არჩეულ იქმნა საფრანგეთის აკადემიის წევრად, ერვეს ადგილას.

**პეტერბურგი.** *) 1 მაისი. სათავად-აზნაურო სესხის მომგებიან ბილეთების მე-19 ტირაჟში ხუთას-მანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | №№ სერიისა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1063 | 19 | 4498 | 35 | 15148 |
| 1 | 4136 | 19 | 6696 | 36 | 134 |
| 1 | 6952 | 19 | 8342 | 36 | 1793 |
| 1 | 8204 | 19 | 10342 | 36 | 2241 |
| 1 | 9370 | 19 | 12851 | 36 | 3323 |

*) უმთავრესი მოგებანი დაბეჭდილია ამ წლის „ივერიის“ მე-92 №-ში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15515 | 19 | 11575 | 36 | 6909 |
| 2 | 459 | 20 | 1637 | 36 | 6993 |
| 2 | 4756 | 20 | 8251 | 36 | 9472 |
| 2 | 6650 | 20 | 9428 | 36 | 11533 |
| 2 | 7278 | 20 | 14858 | 37 | 7683 |
| 2 | 7328 | 20 | 15266 | 37 | 8266 |
| 2 | 8889 | 21 | 1577 | 38 | 56 |
| 2 | 9257 | 21 | 13630 | 38 | 1100 |
| 2 | 11458 | 21 | 14441 | 38 | 11728 |
| 3 | 1753 | 21 | 14475 | 39 | 373 |
| 3 | 9724 | 22 | 1292 | 39 | 473 |
| 4 | 198 | 22 | 6740 | 39 | 1289 |
| 4 | 1622 | 22 | 8958 | 39 | 2626 |
| 4 | 1677 | 22 | 12453 | 39 | 3035 |
| 4 | 2344 | 22 | 12738 | 39 | 7304 |
| 4 | 4520 | 22 | 14075 | 39 | 8476 |
| 4 | 6196 | 23 | 1759 | 39 | 11102 |
| 4 | 16997 | 23 | 9109 | 40 | 23 |
| 4 | 14006 | 24 | 13 | 40 | 1690 |
| 5 | 1710 | 24 | 6151 | 40 | 2959 |
| 5 | 2032 | 24 | 6487 | 40 | 4883 |
| 5 | 8621 | 24 | 7250 | 40 | 6384 |
| 5 | 8972 | 24 | 8422 | 40 | 7674 |
| 6 | 1985 | 24 | 8652 | 40 | 8027 |
| 6 | 15058 | 24 | 8881 | 40 | 9215 |
| 7 | 2962 | 24 | 9369 | 40 | 12227 |
| 7 | 7932 | 24 | 11868 | 41 | 7953 |
| 7 | 13238 | 25 | 3559 | 41 | 12189 |
| 8 | 5190 | 25 | 3603 | 41 | 12770 |
| 8 | 8641 | 25 | 7427 | 41 | 14385 |
| 8 | 9232 | 25 | 11451 | 42 | 1021 |
| 8 | 14013 | 25 | 13542 | 42 | 2971 |
| 9 | 5106 | 26 | 511 | 42 | 3291 |
| 9 | 10981 | 26 | 770 | 42 | 5439 |
| 9 | 11759 | 26 | 834 | 42 | 12986 |
| 9 | 14021 | 26 | 7468 | 42 | 14854 |
| 10 | 4649 | 26 | 11061 | 42 | 15054 |
| 10 | 8365 | 27 | 1017 | 43 | 76 |
| 10 | 13419 | 27 | 1348 | 43 | 748 |
| 10 | 13761 | 27 | 1382 | 43 | 1620 |
| 10 | 14003 | 27 | 7434 | 43 | 2820 |
| 10 | 14521 | 27 | 9378 | 43 | 3777 |
| 10 | 15412 | 27 | 10283 | 43 | 4165 |
| 11 | 8823 | 27 | 11469 | 43 | 5730 |
| 11 | 9652 | 27 | 13015 | 43 | 8529 |
| 11 | 10588 | 28 | 3035 | 43 | 14644 |
| 11 | 11415 | 28 | 3354 | 44 | 1474 |
| 12 | 762 | 28 | 3623 | 44 | 6191 |
| 12 | 909 | 28 | 3679 | 44 | 14229 |
| 12 | 6391 | 28 | 11872 | 44 | 15837 |
| 12 | 9439 | 29 | 70 | 45 | 534 |
| 12 | 14161 | 29 | 2065 | 45 | 4657 |
| 13 | 10588 | 29 | 3211 | 45 | 12755 |
| 14 | 1661 | 29 | 13534 | 45 | 15244 |
| 14 | 4806 | 30 | 1298 | 45 | 15938 |
| 14 | 5262 | 30 | 1577 | 46 | 1613 |
| 14 | 7167 | 30 | 8674 | 46 | 5969 |
| 14 | 14027 | 30 | 9994 | 46 | 8787 |
| 14 | 14830 | 30 | 11492 | 46 | 11200 |
| 14 | 14978 | 30 | 11788 | 47 | 1166 |
| 15 | 2127 | 30 | 12069 | 47 | 2032 |
| 15 | 3561 | 31 | 5452 | 47 | 2230 |
| 15 | 3692 | 31 | 10386 | 47 | 9419 |
| 15 | 6914 | 31 | 11062 | 47 | 10125 |
| 15 | 12713 | 31 | 12212 | 48 | 1612 |
| 15 | 14487 | 31 | 12404 | 48 | 2556 |
| 15 | 14676 | 31 | 13970 | 48 | 3140 |
| 15 | 15116 | 32 | 610 | 48 | 3506 |
| 16 | 3016 | 32 | 4105 | 48 | 7789 |
| 16 | 4171 | 32 | 6793 | 49 | 208 |
| 16 | 11411 | 32 | 8833 | 49 | 311 |
| 16 | 11642 | 32 | 14726 | 49 | 532 |
| 17 | 1418 | 32 | 14963 | 49 | 2873 |
| 17 | 2968 | 32 | 15243 | 49 | 3162 |
| 17 | 3729 | 33 | 10 | 49 | 3168 |
| 17 | 14536 | 33 | 13317 | 49 | 13416 |
| 18 | 1381 | 33 | 15428 | 50 | 475 |
| 18 | 4363 | 34 | 4429 | 50 | 10784 |
| 18 | 10926 | 34 | 12526 | 50 | 10943 |
| 18 | 12451 | 34 | 13238 | 50 | 10998 |
| 19 | 727 | 35 | 4269 | | |
| 19 | 2910 | 35 | 12099 | | |

გაუქმების ტირაჟში გამოვიდა სერიები.

15429, 1882, 4197, 14463, 15875, 7902, 6117, 7593 8966, 6383, 9627, 4070, 2333, 6260, 9809, 11020, 8991, 5421, 738, 10046, 12632, 6010, 13908, 5912, 3040, 13449, 7532, 7203, 7828, 9752, 13707, 15556, 6521, 10578, 10598, 8788, 920, 4784, 12466, 4153, 7754, 2891, 1162, 3450, 10981, 1540, 10705, 10171, 5320, 10371, 10941, 1429, 9004, 6798, 14083, 13324, 1706, 11810, 12233, 9751, 53, 4394, 2546, 11332, 15951, 7447, 11248, 14168, 15985, 3263, 4844, 3081, 14128, 1760, 8583, 14641, 9716, 6565, 14785, 15882, 3016, 15772, 1231, 10373, 13091, 8716, 14900, 5288, 6596, 11435, 873, 2067, 8162, 15030, 15683, 12927, 12725, 1691, 2245, 15022, 1682, 12241, 44, 6147, 6033, 14591, 9443, 7647, 7129, 15989, 11460, 7864, 5938, 7941, 12467, 15798, 10912, 2929, 2267, 11230, 15872, 5012, 12663, 15841, 3651, 1021, 3169, 8267, 6839, 6019.


# განცხადებანი

სურდოს წამალი
ოლუსტორიუმ ნუდილინი
მ. ნ. ქიმუნსკისა
ისყიდება 40 კაპეიკად ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (12—11)

სააქციონერო საზოგადოება
„არტურ კოპპელ“
რელსები, თვლები, ვაგონები, ორთქლ-მავალები, ისრები, მოსაბრუნებელი რგოლები. მანქანები, ქვაბები, ლებედკები, ურიკები, ელევატორები, ონკანები.
პეტერბურგი, ნევის პროსპექტი № 1. განყოფილებანი: მოსკოვსა, ვარშავასა, ოდესსასა, კავკავსა და გელსინგფორსში.
(2—2) „Артуръ Коппель“


Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Мая 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე